საქართველოს გენერალური პროკურორის

ბრძანება №008

2024 წლის 15 იანვარი

ქ. თბილისი

„საქართველოს პროკურატურაში პრაქტიკის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 17 ნოემბრის №046 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს პროკურატურაში პრაქტიკის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 17 ნოემბრის №046 ბრძანებით (ვებგვერდი, 17/11/2020, სარეგისტრაციო კოდი: 110060080.70.082.016059) დამტკიცებულ საქართველოს პროკურატურაში პრაქტიკის გავლის წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2

პრაქტიკის მიზანია უმაღლესი განათლების მიმღები სტუდენტებისა და უმაღლესი განათლების მქონე პირებისათვის პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების და სრულყოფის ხელშეწყობა.“.

2. მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პროკურატურის პრაქტიკანტად შეიძლება მიღებულ იქნეს ნასამართლობის არმქონე საქართველოს მოქალაქე, რომელიც ფლობს სამართალწარმოების ენას და აქვს უმაღლესი განათლება ან განათლების მიმღები სტუდენტია.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს გენერალური პროკურორი **ირაკლი შოთაძე**